შპს „არქსტუდიო“

# საინჟინრო-გეოლოგიური

# დასკვნა

ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, III და IV მიკრო-რაიონებს შორის

შპს „არომა“-ს

კუთვნილი მიწის ნაკვეთის

(საკ.კოდი 01.10.07.007.104)

## საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

დირ : ზ.ნაზღაიძე



თბილისი

2022 წ

სარჩევი:

1. სარჩევი ---- 2
2. ტექნიკური დავალება --- 3
3. მიწერილობა ------ 4
4. საერთო ნაწილი, შესავალი ---5
5. ზოგადი ნაწილი --- 6
6. სამშენებლო კლიმატოლოგია --- 7
7. სპეციალური ნაწილი --- 9
8. დასკვნები და რეკომენდაციები ----13
9. გამოყენებული ლიტერატურა ----17

დანართები:

1. გრუნტების ლაბორატორიული გამოცდის შედეგები
2. სამთო გამონამუშევართა განლაგების სქემა;
3. გამონამუშევრების ლითოლოგიური ჭრილები;
4. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები;

## ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (სამი შენობა);

დამკვეთი – შპს „არომა“;

ობიექტის მდებარეობა – ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, III და IV მიკრო-რაიონებს შორის, საკ.კოდი 01.10.07.007.104;

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია;

მშენებლობის ტიპი – ახალი;

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით ( ГОСТ 27751-88) – მეოთხე;

შენობის (ების) სართულიანობა – 10 მიწის ზედა, 1 მიწისქვეშა;

ობიექტის ტექნიკური დახასიათება – რკინა/ბეტონის კარკასი, ბეტონის ბლოკით შევსება;

საძირკვლის სავარაუდო ტიპი – დადგინდება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შემდეგ;

საპროექტო სავარაუდო დატვირთვა თითოეულ შენობის სამ.-ის ფუძეზე 1000კნ;

საველე სამუშაოები – გაყვანილი იქნას 6 ჭაბურღილი, თითოეული 10,0-11,0 გრძ. მეტრი;

მოთხოვნა – დადგინდეს სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე გრუნტების გეოლოგიური მდგომარეობა (ფენის სიმძლავრე, გრუნტის წყლის მონაცემები-არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე დადგინდეს გრუნტის ამგები ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები: სიმკვრივე, ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, ხახუნის კუთხე, საანგარიშო წინაღობა, ხვედრითი შეჭიდულობა, საგების კუთხე, პუასონის კოეფიციენტი. ჩატარდეს კლდოვანი ქანების გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე;

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული 1 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

ტექნიკური დავალება გასცა: შპს „არომა“;

## მიწერილობა

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს 1.19 პუნქტის მეორე შენიშვნის და 1.22 პუნქტის, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.03-85-ის (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნების საფუძველზე/

ს.ნ. და წ. 11-105-97 „სამუშაოთა წარმოების საერთო წესები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრა სამთო გამონამუშევრების სახე, სიღრმე და სიხშირე, ასევე განისაზღვრა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის ხარისხი.

ტექნიკური დავალების თანახმად, მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, გათვალისწინებულია სამი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია თანდართულ ტექნიკურ დავალებაში.

მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად კვლევის წინაშე დასმულია შემდეგი ამოცანები:

1.საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;

2.გრუნტის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა;

3.საკვლევ უბანზე და მის მიმდებარედ ტერიტორიაზე მოქმედი გეოლოგიური პროცესების გამოვლინება და მათი პროგნოზირება;

4.საკვლევ უბანზე მოსალოდნელი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარების პროგნოზირება.

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

1. არსებული ფონდური მასალის შეგროვება, დამუშავება
2. საკვლევი მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის რეკოგნოსცირება;
3. საკვლევი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა;
4. 10 ჭაბურღილის გაყვანა, ძირითადი ქანების ნაკლებად გამოფიტული ზონის დაფიქსირებით
5. გრუნტის დასინჯვა და სინჯების ეღება;
6. გრუნტის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა და მონაცემთა დამუშავება;
7. კამერალური სამუშაოების ჩატარება;
8. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა;

## 1. საერთო ნაწილი

### შესავალი

2022 წლის ოქტომბერში, ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, III და IV მიკრო-რაიონებს შორის, საკ.კოდი 01.10.07.007.104, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების შენობების მშენებლობის საჭიროებისათვის ჩატარებული იქნა საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, მათ შორის:

- საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 01-02 ოქტომბერს
- ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოები 01-13 ოქტომბერს;
- საველე და ლაბორატორიული კვლევის მასალების კამერალური დამუშავება და ანგარიშის შედგენა 13-17 ოქტომბერს;

კვლევის მიზანს შეადგენდა მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, მოედნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე რაიმე საშიში გეოლოგიური მოვლენის შეფასება.

მშენებლობისათვის განკუთვნილი ნაკვეთი მდებარეობს ქალაქი თბილისში, დიდი დიღმის რაიონში, ახლად გაშენებულ უბანში. ტოპო-გეგმის მიხედვით აბსოლუტური ნიშნულები +497,00 – 488,00-მ-ის ფარგლებში მერყეობს.

დამკვეთის მიერ გადმოცემული ტექნიკური დავალების გათვალისწინებით, პროექტის მთავარი კონსტრუქტორის მითითებულ ადგილებში უბნის საერთო საინჟინრო-გეოლოგიური და ლითოლოგიური ჭრილების დასადგენად გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი, თითოეული 11,0 გრძ.მეტრი. ჭაბურღილების ბურღვა მიმდინარეობდა მექანიკურ-სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარით УРБ-2А-2, 112-131 მმ დიამეტრით, სვეტური წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით. სამთო ნამუშევრების საერთო სიგრძემ შეადგინა 66,0 მეტრი. სამთო გამონამუშევრების გაყვანის დროს ხდებოდა გრუნტების დასინჯვა. ნიმუშების აღების შემდეგ, რორც ამას ნორმები მოითხოვს, სამთო განაბურღები ამოვსებული იქნა განაბურღი გრუნტით;

გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი შესრულდა შპს „წყალი და გრუნტი“-ს გრუნტების კვლევის ლაბორატორიაში, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კვლევები ჩატარებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშნებლო წესები და ნორმები) მოთხოვნათა შესაბამისად - ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (პნ 02.01-08) შენობების და ნაგებობის ფუძეები, ს.ნ. და წ. (პნ 01.01-09) სეისმომედეგი მშენებლობა, ს.ნ. და წ. IV-5-82 ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები) ს.ნ. და წ. 2.03.11-85 (სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა) სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტების კლასიფიკაცია).

ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების გამოყენებით შედგენილია წინამდებარე დასკვნა. დასკვნას თან ახლავს გრუნტების ლაბორატორიული კვლევების ცხრილი, გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზი, გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი, სამთო გამონამუშევრების განლაგების გეგმა, ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები და მონაცემთა კამერალური დამუშავება ჩატარებული იქნა ინჟინერ-გეოლოგ ზ. ნაზღაიძის მიერ.

ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ დახარვეზების შემდეგ, ანგარიშში გამოვიყენეთ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები, გ.ჯაფარიძეს „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“, ჩვენს მიერ ახლო მდებარე ნაკვეთებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მასალები, კერძოდ ნაშრომების ის ნაწილი, რომელიც საკვლევ უბანს ესება. შესაბამისად შეტანილი იქნა ცვლილებები ლითოლოგიურ ჭრილებში.

## 2, ზოგადი ნაწილი

გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, 1 ჭალის ზედა ტერასაზე. რომელიც „დიღმის ველის“ სახელითაა ცნობილი, რომელსაც თავის მხრივ სამხრეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება 40-45 მ-მდე სიმაღლის ქედი, რომელზეც სოფ. დიღომია განლაგებული, ხოლო ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან – მდ. მტკვრის მცირედ დახრილი ტერასა. გეომორფოლოგიურად დიღმის ქედი დიდგორის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ განშტოებას წარმოადგენს, ხოლო ქედის ძირში განვითარებული ვაკე, რომელშიც შედის სამშენებლო მოედანი, წარმოადგენს ე.წ. დიღომის ჩაკეტილი დეპრესიის ნაწილს. დიღმის დეპრესიის ფართობი შეადგენს 48 კმ$^2$. მისი ბუნებრივი საზღვარი სამხრეთიდან და დასავლეთიდან, როგორც აღინიშნა, არის დიდგორის ქედის განშტოებები, ჩრდილოეთი საზღვარი გადის არმაზისა და მუხათგვერდის ქედებზე, ხოლო აღმოსავლეთ საზღვრად მდ. მტკვარი გვევლინება. დეპრესია წარმოადგენს მსხვილი სინკლინური სტრუქტურის – ე.წ. ორმოიანის (დიღმის) სინკლინის ნაწილს.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის ქვეზონას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. ტექტონიკური თვალსაზრისით უბანი მდებარეობს თაბორის ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთაზე (დ.პაპავას მიხედვით), რომელიც აგებულია ფლიშური ტიპის ზედა ეოცენური ($P_2^3$) ასაკის არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობით. არგილიტები თხელ შრეებრივია, მუქი მოშავო შეფერილობის, ფურცლოვან-ფირფიტირებური აღნაგობის. ქვიშაქვები ნაცრისფერი ან ღია ნაცრისფერია. ჭრილის ზედა ნაწილში მოყავისფროც. არგილიტები და ქვიშაქვები ერთგვარად მონაცვლეობენ შეფარდებით 3/2-ზე, ქანების დაქანების აზიმუტი ჩ.ა.

საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია მშვიდია. რაიმე ისეთი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მომავალი შენობის მდგრადობას, არაა მოსალოდნელი.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის (აკად. ბუა-ჩიძე) მიხედვით, საკვლევი ტერიტორია შედის თბილისის წნევიანი, ნაპრალოვანი და ნაპ-რალოვან-კარსტული წყლების სისტემაში.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები:

- მეოთხეული ასაკის გრუნტის წყლები;
- ზედა ეოცენური ასაკის ნაპრალური ცივი წყლები;
- შუა ეოცენური ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.

ტერიტორიის ჰიდროლოგიური პირობების შესახებ აღსანიშნავია, რომ რაიონის მთავარ ჰიდროგრაფიულ არტერიას წარმოადგენს მდინარე მტკვარი, რომელიც საკვლევი უბნის ახლოს მიედინება. საკვლევი უბნის გრუნტის წყლები ძირითადად ინფილტრაციულია,

## სეისმურობა

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თბილისი-მანგლისის ქვეზონაში, რომელიც მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამაკვეთი ტექტონიკური რღვევებით. არსებული სტატისტიკური მონაცემებით მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ თანამედროვე საინჟინრო ნაგებობებს და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, როგორც ისტორიულ, ასევე უახლოეს წარსულში.

თბილისში (6-7 ბალი) – 1283, 1318, 1803, 1827, 1859, 1909, 1920 და 2002 წლებში. XX საუკუნის განმავლობაში მომხდარი მიწისძვრების ბიძგების ხანგრძლივობა 2.1-დან 3.6 წამამდე მერყეობს. სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურების განლაგებაზე.

საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის 01.01.09 – „სეისმომედეგი მშენებლობა“-ს თანახმად, საქართველოს სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით საკვლევი უბანი მიეკუთნება 8 ბალიან ზონას, ხოლო მიწისძვრების ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) მახასიათებელი საკვლევ უბანზე – 0,17;

## სამშენებლო კლიმატოლოგია

ქ.თბილისის და მისი შემოგარენის კლიმატი არის ზომიერად კონტინენტური, ჰაერის კარგად გამოხატული ჩრდილო-დასავლეთის და აღმოსავლეთის მოძრაობით. კლიმატი საერთო ჯამში ზომიერია და კარგ პირობებს ქმნის მშენებლობისთვის.

ქ.თბილისში საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 10-12.5$^0$ -მდე. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0.3$^0$ c. ყინვები შეიძლება დაიწყოს ნოემბერში და

გაგრძელდეს მარტამდე. აბსოლუტური მინიმუმია - 23$^0$C. წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურით 24$^0$C. აბსოლუტური მაქსიმუმი 40$^0$C.

ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა 65%-მდეა.

მოსული ნალექების წლიური ჯამი საშუალოდ 560 მმ-ა. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაისში, მინიმალური კი იანვარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ არის 89. ნალექების დღეღამური მაქსიმუმი 147 მმ-ა. ჭექა-ქუხილიანი დღეების საერთო წლიური რაოდენობაა 49, მათ შორის თბილ პერიოდში (48).

სეტყვის უდიდესი ნაწილი მოდის მაისში (6), ხოლო თითო-თითო კი ივნისში, ივლისსა და სექტემბერში

ქარების უდიდესი საშუალო სიჩქარე შეადგენს 25-30 მ/წმ, მაქსიმალური სიჩქარეები აღინიშნება მარტი-აპრილის პერიოდში, შედარებით მშვიდი თვეებია ნოემბერ-დეკემბერი.

ქარის მაქსიმალური სიჩქარე 32 მ/წმ.

თოვლის საფარი სპორადულ ხასიათს ატარებს და მცირე ხნით ხასიათდება.ის შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე და ყოველ წელს არ მოდის. თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიდიდემ შეიძლება 30-40 სმ-ს მიაღწიოს, ხოლო უმთავრესად 10 სმ-ს არ აჭარბებს.

კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

– საშუალო წლიური ტემპერატურა +12,4°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –23°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;

– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;

– საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობაა 67 %,

– ქარის მაქსიმალური სიჩქარე 20 წლიანი განმეორებადობით – 48 მ/წმ;

– ქარის მაქსიმალური სიჩქარე 10 წლიანი განმეორებადობით – 45 მ/წმ;

– ქარის მაქსიმალური სიჩქარე 5 წლიანი განმეორებადობით – 41 მ/წმ;

– გაბატონებული ქარების მიმართულება– ჩრდილო-დასავლეთის (80/62);

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – Wo=1,44 კპა;

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ – Wo=1,05 კპა;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

დაპროექტების ნორმების სნ. და წ. 01.05-08-„სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მიხედვით საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება III გ ქვერაიონს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1743;25.08.2008;

## 3. სპეციალური ნაწილი

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში (დაღმავალი ჭრილით) დაძიებულ სიღრმემდე (-11,00 მ) გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

**ფენა 1 -** ნაყარი გრუნტი(tQIV);

**ფენა 2** - დელუვიური (dQIV) წარმოშობის თიხოვანი გრუნტი;

**ფენა 3** - დელუვიური (dQIV) წარმოშობის თიხოვანი გრუნტი;

### 3.1 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

**ფენა – 1 –** მოედნის სულ ზედა ფენა ნაყარით არის წარმოდგენილი. ნაყარი გრუნტი, არაერთგვაროვანი, ნაწილობრივ ნიადაგის ფენა მცენარეული ფესვებით, ნაწილობრივ ადგილობრივი და შემოტანილი არაერთგვაროვანი და შეუკავშირებელი თიხოვანი გრუნტის ნაერთი. ეს ფენა, როგორც ფუძე-გრუნტი შენობა-ნაგებობისთვის არ გამოდგება, ის მშენებლობის დროს მოიხსნება და ამიტომ, მისი თვისებები არ დასინჯულა.

ფენის სიმძლავრე:

#1 ჭაბურღილში -0,00-მ-დან -1,50 - მეტრამდე;

#2, #3 და #4 ჭაბურღილებში 0,00-მ-დან -1,00 - მეტრამდე;

#5 ჭაბურღილში 0,00-მ-დან -2,50 - მეტრამდე;

#6 ჭაბურღილში 0,00-მ-დან -4,00 - მეტრამდე;

მოედნის შემდეგი ფენა წარმოდგენილი არის:

**ფენა – 2 –** დელუვიური წარმოშობის მოყვითალო-მოყავისფრო თიხოვანი გრუნტი, მშრალი, მტვრიანი, იშვიათად კენჭის ჩანართებით. ლაბორატორიულად განსაზღვრული იქნა გრუნტების ფიზიკური თვისებები, რომელთა შედეგები მოცემულია ცხრილი №1-ში.

| №№ | ფიზიკური მახასიათებლები | | | განზ. | მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი | საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ფენა 2 | ფენა 2 |
| 1 | პლასტიკურობის რიცხვი | | $I_p$ | – | 15-17 | **15,3** |
| 2 | ტენიანობა | | **W** | % | 16,5-19,8 | **18,2** |
| 3 | სიმკვრივე | გრუნტის | **ρ** | გ/სმ³ | 1,89-1,97 | **1,92** |
| | | მშრალი გრუნტის | $\rho_d$ | | 1,59-1,68 | **1,63** |
| | | გრუნტის ნაწილაკების | $\rho_s$ | | 2,70 | **2,70** |
| 4 | ფორიანობა | | **n** | % | 37,7-41,3 | **39,3** |
| 5 | ფორიანობის კოეფიციენტი | | **e** | – | 0,605-0,746 | **0,569** |
| 6 | დენადობის მაჩვენებელი | | $I_L$ | – | 0,09-0,25 | **0,18** |
| 7 | ტენიანობის ხარისხი | | $S_r$ | – | 0,73-0,78 | **0,75** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | ტენიანობა დენადობის ზღვარზე | $W_L$ | ერთ.ნაწ | 0,29-0,32 | **0,31** |
| 9 | ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე | $W_p$ | ერთ.ნაწ | 0,14-0,16 | **0,16** |

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, გრუნტი წარმოადგენს <u>ნახევრად მყარი კონსისტენციის საშუალოდ წყალნაჯერ თიხნარებს</u> ($I_p$=0.153, $I_L$= 0,18 და $S_r$= 0.75).

თიხოვანი გრუნტისთვის ჩატარდა კომპრესიული გამოცდები, 0,5 კგძ/სმ2 დატვირთვის საფეხურებით, P=4,0 კგძ/სმ2-მდე ვერტიკალურ დატვირთვებამდე აყვანით. ცდები შესრულდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებისთვის. დასაპროექტებელი შენობების საძირკვლებიდან მოსალოდნელი მაქსიმალური დატვირთვის გათვალისწინებით (P=2,0 კგძ/სმ2), გრუნტს მიეწოდა წყალი.

ქვემოთ, ცხრილ 2-ში, შეტანილია გრუნტის ჯდენის მოდულის (ℓp) მნიშვნელობები P=3,0 კგძ/სმ2 დატვირთვაზე (რომლის დროსაც ფასდება გრუნტის კუმშვადობა ℓp-ს მიხედვით), აგრეთვე დეფორმაციის (თავისუფალი) მოდულის მნიშვნელობები, დატვირთვების საწყის ინტერვალში (P=1,0–2,0 კგძ/სმ2):

| ## | ჭაბურღილის ### | ნიმუშების აღების სიღრმე, | ლაბ, # / გრაფიკის # | ჯდენის მოდული ℓp მმ/მ P=3,0 კგძ/სმ2 | დეფორმაციის მოდული E კგძ/სმ2 P=0,05-2,00 კგძ/სმ2 დატვირთვისას |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3,0 | 153 | 44 | (83+139+179+208)/4=152 |
| 2 | 4 | 3,0 | 155 | 43 | (70+128+196+240)/4=158 |
| 3 | 6 | 3,7 | 157 | 35 | (94+164+235+300)/4=198 |
| **საშუალო** | | | | **41** | **170** |

ცხრილიდან ჩანს, რომ თიხა საშუალო მნიშვნელობით არის კუმშვად კატეგორიაში, ვინაიდან ჯდენის მოდულის საშუალო მნიშვნელობა ტოლია ℓp=41 მმ, დეფორმაციის მოდულის საშუალო მნიშვნელობა, დატვირთვების საწყის ინტერვალში ტოლია

**E= 17 მპა** (**170** კგძ/სმ2).

ეს მნიშვნელობა მიღებული იქნება საანგარიშოდ.

პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობები აღებულია ს.ნ. და წ. ”შენობების და ნაგებობების ფუძეები” პ.ნ.02.01.08 დანართი №3 ცხრილის მიხედვით და შეადგენს

$$R_0=2.3 \text{ კგძ/სმ}^2$$

მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მონაცემები მოცემულია ქვემოთ ცხრილი #3-ში.

| №№ | **გრუნტის მახასიათებლები** | **საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები** |
|---|---|---|
| | | **(ფენა 2)** |
| 1 | სიმკვრივე ρ გ/სმ$^3$ | 1,92 |
| 2 | ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ$^2$) | 36 (0.36) |
| 3 | შინაგანი ხახუნის კუთხე φ° | 21$^0$ |
| **4** | **დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ$^2$)** | **17 (170)** |

| | | |
|---|---|---|
| 5 | **პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_0$ კპა (კგძ/სმ²)** | **230 (2.3)** |
| 6 | ჯდენის მოდული Ep მმ/მ | 41 |
| 7 | საგების კოეფიციენტი K კგ/სმ³ | 3,0 |
| 8 | პუასონის კოეფიციენტი, μ | 0,35 |

აღნიშნული ფენა გამოყოფილია, როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - **სგე 1.**

ფენის სიმძლავრე:

#1 ჭაბურღილში -1,50-მ-დან -3,50 - მეტრამდე;

#2 ჭაბურღილში -1,00-მ-დან -2,50 - მეტრამდე;

#3 და #4 ჭაბურღილებში -1,00-მ-დან -3,50 - მეტრამდე;

#5 ჭაბურღილში -2,50-მ-დან -4,00 - მეტრამდე;

#6 ჭაბურღილში -4,00-მ-დან -5,00 - მეტრამდე;

მოედნის შემდეგი ფენა წარმოდგენილი არის:

**ფენა – 3 –** დელუვიური წარმოშობის მოყვითალო-მოყავისფრო ფერის თიხოვანი გრუნტი, იშვიათად ღორღის ჩანართებით. ლაბორატორიულად განსაზღვრული იქნა გრუნტების ფიზიკური თვისებები, რომელთა შედეგები მოცემულია ცხრილი №4-ში.

| №№ | ფიზიკური მახასიათებლები | | განზ. | მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი | საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფენა 3 | ფენა 3 |
| 1 | პლასტიკურობის რიცხვი | $I_p$ | – | 19-31 | **23,5** |
| 2 | ტენიანობა | **W** | % | 27,8-32,8 | **30,1** |
| 3 | სიმკვრივე: გრუნტის | **ρ** | გ/სმ³ | 1,79-1,91 | **1,84** |
| | მშრალი გრუნტის | $\rho_d$ | | 1,35-1,48 | **1,42** |
| | გრუნტის ნაწილაკების | $\rho_s$ | | 2,72-2.73 | **2,72** |
| 4 | ფორიანობა | **n** | % | 45,6-50,4 | **47,9** |
| 5 | ფორიანობის კოეფიციენტი | **e** | – | 0,838-1,015 | **0,921** |
| 6 | დენადობის მაჩვენებელი | $I_L$ | – | 0,26-0,50 | **0,37** |
| 7 | ტენიანობის ხარისხი | $S_r$ | – | 0,82-0,96 | **0,86** |
| 8 | ტენიანობა დენადობის ზღვარზე | $W_L$ | ერთ.ნაწ | 0,41-0,55 | **0,45** |
| 9 | ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე | $W_p$ | ერთ.ნაწ | 0,21-0,24 | **0,215** |

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, გრუნტი წარმოადგენს <u>ძნელპლასტიკური კონსისტენციის წყალნაჯერ თიხებს</u> ($I_p$=0.235, $I_L$= 0,37 და $S_r$= 0.86).

თიხოვანი გრუნტისთვის ჩატარდა კომპრესიული გამოცდები, 0,5 კგძ/სმ2 დატვირთვის საფეხურებით, P=4,0 კგძ/სმ2-მდე ვერტიკალურ დატვირთვებამდე აყვანით. ცდები შესრულდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებისთვის. დასაპროექტებელი შენობების საძირკვლებიდან მოსალოდნელი მაქსიმალური დატვირთვის გათვალისწინებით (P=2,0 კგძ/სმ2), გრუნტს მიეწოდა წყალი.

ქვემოთ, ცხრილ 5-ში, შეტანილია გრუნტის ჯდენის მოდულის (ℓp) მნიშვნელობები P=3,0 კგძ/სმ2 დატვირთვაზე (რომლის დროსაც ფასდება გრუნტის კუმშვადობა ℓp-ს მიხედვით), აგრეთვე დეფორმაციის (თავისუფალი) მოდულის მნიშვნელობები, დატვირთვების საწყის ინტერვალში (P=1,0–2,0 კგძ/სმ2):

ცხრილი #5

| ## | ჭაბურღილის ### | ნიმუშების აღების სიღრმე, | ლაბ, # / გრაფიკის # | ჯდენის მოდული ℓp მმ/მ P=3,0 კგძ/სმ2 | დეფორმაციის მოდული E კგძ/სმ2 P=0,05-2,00 კგძ/სმ2 დატვირთვისას |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 4,0 | 159 | 41 | (106+119+160+182)/4=141 |
| 2 | 4 | 4,7 | 161 | 33 | (148+168+172+208)/4=174 |
| 3 | 6 | 8,0 | 163 | 39 | (101+142+168+232)/4=161 |
| **საშუალო** | | | | **38** | **160** |

ცხრილიდან ჩანს, რომ თიხა საშუალო მნიშვნელობით არის კუმშვად კატეგორიაში, ვინაიდან ჯდენის მოდულის საშუალო მნიშვნელობა ტოლია ℓp=38 მმ, დეფორმაციის მოდულის საშუალო მნიშვნელობა, დატვირთვების საწყის ინტერვალში ტოლია

**E= 16 მპა** (**160** კგძ/სმ2).

ეს მნიშვნელობა მიღებული იქნება საანგარიშოდ.

პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობები აღებულია ს.ნ. და წ. ”შენობების და ნაგებობების ფუძეები” პ.ნ.02.01.08 დანართი №3 ცხრილის მიხედვით და შეადგენს

$$R_0=2.3 \text{ კგძ/სმ}^2$$

მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მონაცემები მოცემულია ქვემოთ ცხრილი #6-ში.

| №№ | **გრუნტის მახასიათებლები** | **საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები** |
|---|---|---|
| | | **(ფენა 3)** |
| 1 | სიმკვრივე ρ გ/სმ$^3$ | 1,84 |
| 2 | ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ$^2$) | 49 (0.49) |
| 3 | შინაგანი ხახუნის კუთხე φ° | 19$^0$ |
| **4** | **დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ$^2$)** | **16 (160)** |
| **5** | **პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_0$ კპა (კგძ/სმ$^2$)** | **230 (2.3)** |
| 6 | ჯდენის მოდული ℓp მმ/მ | 38 |
| 7 | საგების კოეფიციენტი K კგ/სმ$^3$ | 3,0 |
| 8 | პუასონის კოეფიციენტი, μ | 0.41 |

აღნიშნული ფენა გამოყოფილია, როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - **სგე 2.**

ფენის სიმძლავრე დაძიებულ -11,00 მეტრამდე და საარქივო მონაცემებით, კიდევ უფრო ღრმად;

ფენა გაწყლიანებულია;

**ჰიდროგეოლოგიური პირობების** აღვნიშნავთ, რომ გრუნტის წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში.

## ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე მოედნის გეოლოგიური პირობების შესახებ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები

- გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, 1 ჭალის ზედა ტერასაზე. რომელიც „დიღმის ველის“ სახელითაა ცნობილი;
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გეოლოგიური საფრთხეების განვითარების დაბალი რისკის ზონაში. ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი მდგრადია და მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, სუფოზია და სხვა) განვითარებული არ არის. რაიმე დამცავი საინჟინრო ღონისძიების გატარების საჭიროება არ არის.
- საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საკვლევი რაიონი სამშენებლო ნორმებით 1.02.07.87წ. დანართი 10-ის მიხედვით,გრუნტის წყლების არსებობის გამო, მიეკუთვნება II (საშუალოდ რთული) კატეგორიას;
- საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში (დაღმავალი ჭრილით) დაძიებულ სიღრმემდე გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

**ფენა - 1 -** წარმოდგენილია ნაყარი გრუნტი, არაერთგვაროვანი, ნაწილობრივ ნიადაგის ფენა მცენარეული ფესვებით, ნაწილობრივ ადგილობრივი და შემოტანილი არაერთგვაროვანი და შეუკავშირებელი თიხოვანი გრუნტის ნაერთი. ეს ფენა, როგორც ფუძე-გრუნტი შენობა-ნაგებობისთვის არ გამოდგება, ის მშენებლობის დროს მოიხსნება და ამიტომ, მისი თვისებები არ დასინჯულა.

ფენის სიმძლავრე:

#1 ჭაბურღილში -0,00-მ-დან -1,50 - მეტრამდე;

#2, #3 და #4 ჭაბურღილებში 0,00-მ-დან -1,00 - მეტრამდე;

#5 ჭაბურღილში 0,00-მ-დან -2,50 - მეტრამდე;

#6 ჭაბურღილში 0,00-მ-დან -4,00 - მეტრამდე;

**ფენა - 2** – **ს.გ.ე. – №1** – <u>თიხნარი</u>, დელუვიური (dQIV) წარმოშობის, მოყვითალო-მოყავისფრო, ნახევრად მყარი კონსისტენციის საშუალოდ წყალნაჯერი თიხნარები (**$I_p$**=0.153, **$I_L$**= 0,18 და **$S_r$**= 0.75).

- საანგარიშო წინაღობა **Ro=2,3** კგძ/სმ$^2$;
- დეფორმაციის მოდული **E=170** კგძ/სმ$^2$;

ფენის სიმძლავრე:

#1 ჭაბურღილში -1,50-მ-დან -3,50 - მეტრამდე;

#2 ჭაბურღილში -1,00-მ-დან -2,50 - მეტრამდე;

#3 და #4 ჭაბურღილებში -1,00-მ-დან -3,50 - მეტრამდე;

#5 ჭაბურღილში -2,50-მ-დან -4,00 - მეტრამდე;

#6 ჭაბურღილში -4,00-მ-დან -5,00 - მეტრამდე;

**ფენა - 3** – **ს.გ.ე. – №2** – <u>თიხა</u>, დელუვიური (dQIV) წარმოშობის, მოყვითალო-მოყავისფრო, ძნელპლასტიკური კონსისტენციის წყალნაჯერი თიხები (**$I_p$**=0.235, **$I_L$**= 0,37 და **$S_r$**= 0.86).

- საანგარიშო წინაღობა **Ro=2,3** კგძ/სმ$^2$;
- დეფორმაციის მოდული **E=160** კგძ/სმ$^2$;

<u>ფენა გაწყლიანებულია;</u>

ფენის სიმძლავრე დაძიებულ -11,00 მეტრამდე და საარქივო მონაცემებით, კიდევ უფრო ღრმად;

- ქვემოთ, ცხრ. #7 მოცემულია ორივე სგე-ს გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების პარამეტრების საანგარიშო მნიშვნელობები მიღებული, როგორც ლაბორატორიული გამოკვლევებით, ასევე ს.ნ. და წ. "შენობების და ნაგებობების ფუძეები" (პნ 02.01-08)-ის დანართი 2-ს და 3-ს ცხრილების მიხედვით.

| №№ | გრუნტის მახასიათებლები | საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები | |
|---|---|---|---|
| | | სგე 1 | სგე 2 |
| 1 | სიმკვრივე ρ გ/სმ$^3$ | 1,92 | 1,84 |
| 2 | ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ$^2$) | 36 (0.36) | 49 (0.49) |
| 3 | შინაგანი ხახუნის კუთხე φ° | 21$^0$ | 19$^0$ |
| 4 | დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ$^2$) | 17 (170) | 16 (160) |
| 5 | პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_0$ კპა (კგძ/სმ$^2$) | 230 (2.3) | 230 (2.3) |
| 8 | ჯდენის მოდული ℮p მმ/მ | 41 | 38 |
| 6 | პუასონის კოეფიციენტი , μ | 0,35 | 0,42 |
| 7 | საგების კოეფიციენტი K კგ/სმ$^3$ | 4,0 | 3,0 |

**ჰიდროგეოლოგიური პირობების** აღვნიშნავთ, რომ გრუნტის წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში.

წყლის სინჯი საერთო მინერალიზაციის მაჩვენებლით (M=3.5 გ/ლ) ძალზე მარილიანი წყლების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის შედგენილობა გამოისახება როგორც სულფატური ჰიდროკარბანატული კალციუმიან-მაგნიუმიან-ნატრიუმიანი ტიპის. წყალბადიონების კონცენტრაციის მაჩვენებლით (PH=7.37) რეაქცია ნეიტრალურია. აზოტოვანი გამაჭუჭყიანებელი კომპონენტებს თითქმის არ შეიცავს.

. განსახილველი წყლის სინჯი ბეტონის მიმართ „ძლიერ“ აგრესიულობას ავლენს პორტლანდცემენტის მიმართ, ხოლო წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი ცემენტის მიმართ არარის აგრესიული. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯის აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც “არა”, ხოლო პერიოდული დასველებით – როგორც “საშუალო”. იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც “საშუალო”.

გრუნტის წყალის გამოვლინება ჭაბურღილებში:

| ჭაბურღილის № | გრუნტის წყლის გამოჩენა | გრუნტის წყლის დამყარებული დონე |
|---|---|---|
| №1 | -5,80 | -5,60 |
| №2 | -4,00 | -3,70 |
| №3 | -4,20 | -4,00 |
| №4 | -3,50 | -3,20 |
| №5 | -4,50 | -4,20 |
| №6 | -5,50 | -5,20 |

ტოპოგეგმის მიხედვით

| ჭაბურღილის № | გრუნტის წყლის გამოჩენა | გრუნტის წყლის დამყარებული დონე |
|---|---|---|
| №1 | +486,70 | +486,90 |
| №2 | +486,50 | +486,80 |

| | | |
|---|---|---|
| №3 | +486,80 | +487,00 |
| №4 | +485,00 | +485,20 |
| №5 | +484,00 | +484,20 |
| №6 | +484,00 | +484,20 |

- სამშენებლო სამუშაოებისას, გრუნტის წყლის გამოვლენისას, უბანზე საჭირო გახდება წყალქცევითი სამუშაოები; საორიენტაციო წყლის მოდენი თხრილის გრძივ მეტრზე მიღებული იქნეს 0.05ლ/წმ-ში;
- საჭიროა მოეწყოს შენობების საძირკველის (ან მთლიანად ნაკვეთის) იზოლაცია სადრენაჟე სისტემით, ასევე საჭიროა საძირკვლების საიზოლაციო მასალით შემოსვა;
- **გრუნტიდან გამონატუტის ქიმიური ანალიზის** შედეგად საანალიზოდ გადმოცემული გრუნტის ნიმუშიდან მომზადდა გამონატუტი, რომელთა საერთო მინერალიზაციის სიდიდე 1.6 გ/ლ-ის ტოლია, რომელიც ძალზე მომატებული სიდიდეა. ქიმიური შედგენილობით სულფატურ კალციუმიან- ნატრიუმიან-მაგნიუმიანია. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია - 7.57.
- **აგრესიულობის ხარისხთან** მიმართებაში, საანალიზო ნიმუში სულფატების შემცველობის მხრივ „ძლიერ“ აგრესიულობას ავლენს თითქმის ყველა სახის ცემენტზე, როგორიცაა პორტლანდცემენტი, შლაკოპორტლანდცემენტი W 4, W 6, W 8 მარკის (წყალშეღწევადობის მიხედვით) ბეტონების მიმართ. ხოლო ქლორიდების შემცველობის თვალსაზრისით ვლინდება „საშუალო“ აგრესიულობა.
- ᲡᲜ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ.თბილისი მიეკუთნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად,სეისმური თვისებების მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთნებიან:
  - ა) ნაყარი (ფენა 1) -III კატეგორიას;
  - ბ) თიხნარი, თიხა (ფენა 2 და 3)- II კატეგორიას;
- სამშენებლო ობიექტის საანგარიშო სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი, ხოლო მიწისძვრების ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) მახასიათებელი საკვლევ უბანზე 0,17 მ/წმ2;
- დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV–2–82 I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთნებიან:
  - ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) - სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ$^3$ (რიგ.#24ა);

- დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV–2–82 I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთნებიან:

- ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) - სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ³ (რიგ.#24ა);

  ბ) თიხნარი (ფენა 2) _ ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას _ III ჯგუფს, ბულდოზერით და ხელით დამუშავებისას _ III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ3; სნ და წ IV-2-82;რიგ. #33).

  გ) თიხა (ფენა 2) _ ყველა სახის დამუშავებისას III ჯგუფს (სნ და წ IV-2-82; რიგ. 33გ).

- ქვაბულის და თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის პ პ 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების და სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

**სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავი, ცხრილი #4**

| გრუნტის დასახელება | ფერდობის ციცაბო (მისი სიმაღლის შეფარდება და დასაწყისში) გათხრების სიღრმეზე, მ, მეტი აღარ | | |
|---|---|---|---|
| | 1.5 მეტრი | 3,0 მეტრი | 5,0 მეტრი |
| ნაყარი არაკონსოლიდირებული 1: 0.67 1: 1 1: 1.25 | 1:0,67 | 1:1 | 1:1,25 |
| თიხნარი | 1:0,25 | 1:0,67 | 1:0,85 |
| თიხა | 1:00 | 1:0,25 | 1:0,5 |

- სამშენებლო სამუშაოებისას, მიწისქვეშა წყლების გამოვლენისას, ჩაღრმავებების ან მათი ფსკერის მახლობლად უნდა ჩაითვალოს სველი არა მხოლოდ გრუნტი, რომელიც მდებარეობს მიწისქვეშა წყლის დონის ქვემოთ, ასევე გრუნტი, რომელიც მდებარეობს ამ დონეზე ზემოთ. ასეთ შემთხვევაში უნდა იქნას მიღებული:

  - <u>1.0 მ ზემოთ - თიხნარების და თიხების შემთხვევაში;</u>

    - ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ ხარვეზის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ აღნიშნული ხევში, ფრაგმენტულად ღიად ჩანს ქალაქის ბეტონის კოლექტორი, დიდწილად კი ამოვსებულია, ხოლო დასავლეთით, მიმდებარედ ეს ხევი აღარ არსებობს, ამოვსებულია და ზედ გაშენებულია და ახლაც მიმდინარეობს მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა.

ინჟინერ-გეოლოგი: / *ზ.ნა ზღაიძე*/

**გამოყენებული ლიტერატურის სია**

1. პნ 01.05-08 დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია”. საქართველოს ეკ. განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი.
2. პნ 02.01-08 სამშენებლო ნორმების და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები”. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924, 2008 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი.
3 . პნ 01.01-09 სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა”. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი.
4. დ.ჩხეიძე – საინჟინრო გეოლოგია – გამომცემლობა “განათლება”; 1979
5. ე.გამყრელიძე – სტრუქტურული გეოლოგიის მეთოდები – გამომცემლობა “განათლება”; 1979

| შპს „წყალი და გრუნტი“ | | | | | გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი, 13.10.2022 | | | | | ობიექტი | თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, III და IV მიკრორაიონებს შორის, საკ.კოდი 01.10.07.007.104 | | | | | | | | | | | | | |
| სინჯის აღების თარიღი: 01.10.2022 | | | | | დასახელება | მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი | | | | | | | | | | | | | |
| რიგითი № | გამონამუშევრის № | აღების სიღრმე, მ | ნიმუშის სტრუქტურა | ლაბ. № | პლასტიკურობა | | | ბუნებრივი ტენიანობა, % | სიმკვრივე, გ/სმ$^3$ | | | ფორიანობა, % | ფორიანობის კოეფიციენტი | დენადობის მაჩვენებელი | ტენიანობის ხარისხი | წინააღმდეგობა ძვრაზე | | გრუნტის ტიპი |
| | | | | | ზედა ზღვარი, % | ქვედა ზღვარი, % | პლასტიკურობის რიცხვი | | ბუნებრივი | მშრალი გრუნტის | გრუნტის ნაწილაკების | | | | | შინაგანი ხახუნის კუთხე | ხვედრითი შეჭიდულობა | |
| | | $h$ | | | $W_L$ | $W_p$ | $I_p$ | $W$ | $\rho$ | $\rho_d$ | $\rho_s$ | $n$ | $e$ | $I_L$ | $S_r$ | $f$ | $c$ | |
| 1 | ჭაბურღილი 1 | 3.20 | მონ | 152 | 0.30 | 0.15 | 0.15 | 16.5 | 1.96 | 1.68 | 2.70 | 37.7 | 0.605 | 0.09 | 0.74 | | | თიხნარი, ნახევრად მყარი |
| 2 | ჭაბურღილი 2 | 3.0 | მონ | 153 | 0.29 | 0.14 | 0.15 | 17.5 | 1.97 | 1.68 | 2.70 | 37.9 | 0.610 | 0.23 | 0.77 | 20 | 32 | თიხნარი, ნახევრად მყარი |
| 3 | ჭაბურღილი 3 | 3.00 | მონ | 154 | 0.32 | 0.16 | 0.16 | 18.4 | 1.90 | 1.60 | 2.70 | 40.6 | 0.683 | 0.15 | 0.73 | | | თიხნარი, ნახევრად მყარი |
| 4 | ჭაბურღილი 4 | 3.0 | მონ | 155 | 0.32 | 0.16 | 0.16 | 19.8 | 1.92 | 1.60 | 2.70 | 40.6 | 0.746 | 0.22 | 0.78 | 20 | 35 | თიხნარი, ნახევრად მყარი |
| 5 | ჭაბურღილი 5 | 3.50 | მონ | 156 | 0.32 | 0.15 | 0.17 | 19.2 | 1.89 | 1.59 | 2.70 | 41.3 | 0.703 | 0.25 | 0.74 | | | თიხნარი, ნახევრად მყარი |
| 6 | ჭაბურღილი 6 | 3.70 | მონ | 157 | 0.32 | 0.16 | 0.16 | 18.0 | 1.91 | 1.62 | 2.70 | 37.7 | 0.605 | 0.14 | 0.73 | 23 | 42 | თიხნარი, ნახევრად მყარი |
| 7 | ჭაბურღილი 1 | 5.0 | მონ | 158 | 0.41 | 0.22 | 0.19 | 27.8 | 1.81 | 1.42 | 2.72 | 47.8 | 0.915 | 0.31 | 0.83 | | | თიხა, ძნელ პლასტიკური |
| 8 | ჭაბურღილი 2 | 4.0 | მონ | 159 | 0.41 | 0.20 | 0.21 | 28.9 | 1.84 | 1.43 | 2.72 | 47.4 | 0.902 | 0.42 | 0.82 | 16 | 42 | თიხა, ძნელ პლასტიკური |
| 9 | ჭაბურღილი 3 | 5.50 | მონ | 160 | 0.41 | 0.21 | 0.20 | 28.8 | 1.85 | 1.44 | 2.72 | 47.1 | 0.889 | 0.39 | 0.88 | | | თიხა, ძნელ პლასტიკური |
| 10 | ჭაბურღილი 4 | 4.70 | მონ | 161 | 0.49 | 0.23 | 0.26 | 30.0 | 1.82 | 1.40 | 2.72 | 48.5 | 0.943 | 0.27 | 0.87 | 16 | 42 | თიხა, ძნელ პლასტიკური |
| 11 | ჭაბურღილი 5 | 6.0 | მონ | 162 | 0.41 | 0.19 | 0.22 | 30.5 | 1.79 | 1.38 | 2.72 | 49.3 | 0.971 | 0.50 | 0.84 | | | თიხა, ძნელ პლასტიკური |
| 12 | ჭაბურღილი 6 | 8.0 | მონ | 163 | 0.46 | 0.21 | 0.25 | 29.3 | 1.91 | 1.48 | 2.72 | 45.6 | 0.838 | 0.33 | 0.85 | 17 | 48 | თიხა, ძნელ პლასტიკური |

ინჟ.გეოლოგი აკულია

შპს „წყალი და გრუნტის“ დირექტორი მ. მარდაშოვა

შპს „წყალი და გრუნტი“
ს/კ 436046574
ტელ.: +995 77 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com




LLC “Water and Soil”
I/C 436046574
Phone.: + 995 77 75 48 92;
E-mail:infowaterandsoil@gmail.com

# წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სინჯის აღების ადგილი | | თბილისი, დიდი დიღომი, III-IV მიკრორაიონებს შორის. ს/კ 01.10.07.007.104 | | | |
| წყალპუნქტის ტიპი | | ჭაბურღილი 2 ნიმუშის აღების სიღრმე - 3.8 მ | | სინჯის აღების თარიღი | 01.10.2022 |
| იონები | აბსოლუტური შემცველობა | მგ.ექვ./ლ | მგ.ექვ./ლ, % | სხვა მონაცემები | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| კათიონები | | | | ფერი: გამჭვირვალე<br>სუნი: უსუნო<br>გემო: მლაშე, მარილიანი<br>ტემპერატურა (ლაბ.):19.3 | |
| $(Na+K)^+$ | 0.885 | 38.465 | 39 | წყალბად-იონების კონცენტრაცია PH: | 7.37 |
| $Ca^{2+}$ | 0.435 | 21.750 | 22 | მშრალი ნაშთი: | 6.29 გ/ლ |
| $Mg^{2+}$ | 0.466 | 38.800 | 39 | საერთო სიხისტე: | 60.55 მგ.ექვ./ლ; |
| ჯამი | 1.785 | 99.01 | 100 | კარბონატული: | 5.9 მგ.ექვ./ლ; |
| ანიონები | | | | მუდმივი: | 54.65 მგ.ექვ./ლ; |
| | | | | თავისუფალი $CO_2$: | 47 მგ/ლ |
| $Cl^-$ | 0.114 | 3.200 | 3 | აგრესიული $CO_2$: | არ აღმოჩნდა |
| $SO_4^{2-}$ | 4.033 | 84.015 | 85 | ამონიუმი $(NH_4^+)$: | 0.13 მგ/ლ |
| $HCO_3^-$ | 0.720 | 11.800 | 12 | ნიტრატი $(NO_3^-)$: | არ აღმოჩნდა |
| ჯამი | 4.866 | 99.01 | 100 | ნიტრიტი $(NO_2^-)$: | არ აღმოჩნდა |
| M გ/ლ | 6.651 | კურლოვის ფორმულა | | მარილიანობა | ppt |
| | | | | ელ. წინაღობა | ppt |
| | | | | TDS | ppt |
| | | | | $M_{6.65}\frac{SO_4 85 HCO_3 12}{(Na+K)39 Mg 39 Ca 22}$ | |
| ანალიზის შემსრულებელი: | | თ. მიქავა | | თარიღი: | 13.10.2022 |

შპს „წყალი და გრუნტი“
ს/კ 436046574
ტელ.: +995 77 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC “Water and Soil”
I/C 436046574
Phone.: + 995 77 75 48 92;
E-mail:infowaterandsoil@gmail.com

## წყლის აგრესიულობის ხარისხი ბეტონის მიმართ

| რიგითი № | გამონამუშევრის № | ნიმუშის აღების სიღრმე , მ | აგრესიულობის მაჩვენებლები | წყლის აგრესიულობის ხარისხი ნაგებობებისადმი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | განლაგებულ ქანებში $K_{ფ}$>0.1 მ/დღ.ღ | | | განლაგებულ ქანებში $K_{ფ}$<0.1 მ/დღ.ღ | | |
| | | | | ბეტონის მარკა წყალშეღწევადობის მიხედვით | | | | | |
| | | | | W4 | W6 | W8 | W4 | W6 | W8 |
| 1 | 2 | 3.8მ | ბიკარბონატული სიხისტე, მგ.ექვ/ლ | არა | არა | არა | არა | არა | არა |
| | | | წყალბად-იონის მაჩვენებელი | არა | არა | არა | სუსტი | არა | არა |
| | | | აგრესიული ნახშირმჟავას შემცველობა, მგ/ლ | - | - | არა | - | - | არა |
| | | | მაგნეზიალური მარილების შემცველობა, მგ/ლ | არა | არა | არა | არა | არა | არა |
| | | | ამონიუმის მარილების შემცველობა, მგ/ლ | არა | არა | არა | არა | არა | არა |
| | | | მაღალი ტუტიანობის შემცველობა, მგ/ლ | არა | არა | არა | არა | არა | არა |
| | | | სულფატები ბეტონებისათვის | | | | | | |
| | | | პორტლანდცემენტი (ГОСТ10178-76) | ძლიერი | ძლიერი | ძლიერი | ძლიერი | ძლიერი | ძლიერი |
| | | | წიდაპორტლანდცემენტი | სუსტი | არა | არა | არა | არა | არა |
| | | | სულფატმედეგი ცემენტი | არა | არა | არა | არა | არა | არა |

## გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე

| რიგითი № | გამონამუშევრის № | ნიმუშის აღების სიღრმე , მ | წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე | | გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი >0.1 მ/დღ.ღ |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მუდმივად წყალში | პერიოდულად დასველებით | |
| 1 | 2 | 3.8მ | არა | საშუალო | საშუალო |

შპს „წყალი და გრუნტი“
ს/კ 436046574
ტელ.: +995 77 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com




LLC “Water and Soil”
I/C 436046574
Phone.: + 995 77 75 48 92;
E-mail:infowaterandsoil@gmail.com

## წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგი

ქიმიური ანალიზის მიხედვით საანალიზო სინჯი ძალზე მარილიანი წყლების წყლების კატეგორიას ($M = 6.65$ გ/ლ) მიეკუთვნება, რომლის შედგენილობა წარმოდგენილია სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიან-მაგნიუმიან-კალციუმიანი ტიპით. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია ($PH = 7.37$). გამაჭუჭყიანებელ აზოტოვან ნაერთებს თიტქმის არ შეიცავს.

განსახილველი წყლის სინჯი ბეტონის მიმართ „ძლიერ“ აგრესიულობას ავლენს პორტლანდცემენტის მიმართ, ხოლო წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი ცემენტის მიმართ არარის აგრესიული. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯის აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც “არა”, ხოლო პერიოდული დასველებით – როგორც “საშუალო”. იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც “საშუალო”.

შპს „წყალი და გრუნტის“ დირექტორი ქ. ქარცქოვა ე. მარდაშოვა

ანალიტიკოსი თ. მიქავა



შპს „წყალი და გრუნტი“
ს/კ 436046574
ტელ.: +995 77 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC “Water and Soil”
I/C 436046574
Phone.: + 995 77 75 48 92;
E-mail:infowaterandsoil@gmail.com

380

## გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სინჯის აღების ადგილი | | თბილისი, დიდი დიღომი, III-IV მიკრო რაიონებს შორის. ს/კ01.10.07.007.104 | | | |
| გამონამუშევრის ტიპი | | ჭაბურღილი 1 ნიმუშის აღების სიღრმე-5.5მ | | ნიმუშის აღების აღების თარიღი | 01.10.2022 |
| იონები | აბსოლუტური შემცველობა | მგ.ექვ./ლ | მგ.ექვ./ლ, % | სხვა მონაცემები | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| კათიონები | | | | გრუნტის აღწერილობა ვიზუალურად: | |
| $(Na+K)^+$ | 0.191 | 8.290 | 35 | წყალბად-იონების კონცენტრაცია PH: | 7.57 |
| $Ca^{2+}$ | 0.192 | 9.600 | 40 | მშრალი ნაშთი: | 1.57 გ/ლ |
| $Mg^{2+}$ | 0.071 | 5.900 | 25 | საერთო სიხისტე: | 15.5 მგ.ექვ./ლ; |
| ჯამი | **0.453** | **23.79** | **100** | კარბონატული: | 0.5 მგ.ექვ./ლ; |
| ანიონები | | | | მუდმივი: | 15 მგ.ექვ./ლ; |
| | | | | თავისუფალი $CO_2$: | 47 მგ/ლ |
| $Cl^-$ | 0.018 | 0.500 | 2 | აგრესიული $CO_2$: | არ აღმოჩნდა |
| $SO_4^{2-}$ | 1.070 | 22.290 | 94 | ამონიუმი $(NH_4^+)$: | 51 მგ/ლ |
| $HCO_3^-$ | 0.061 | 1.000 | 4 | ნიტრატი $(NO_3^-)$: | არ აღმოჩნდა |
| ჯამი | **1.149** | **23.79** | **100** | ნიტრიტი $(NO_2^-)$: | არ აღმოჩნდა |
| | | | | $CaSO_4.2H_2O$ | 0.98 % |
| | | | | | |
| | | | | | |
| M გ/ლ | 1.602 | კურლოვის ფორმულა | | $M_{1.6}\frac{SO_4 94}{Ca40(Na+K)35Mg25}$ | |
| ანალიზის შემსრულებელი: | | თ. მიქავა | | თარიღი: | 12.10.2022 |

შპს „წყალი და გრუნტი“
ს/კ 436046574
ტელ.: +995 77 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com




LLC “Water and Soil”
I/C 436046574
Phone.: + 995 77 75 48 92;
E-mail:infowaterandsoil@gmail.com

ქანების აგრესიულობის ხარისხი

ცხრილი

| № | გამონამუშევრის № | კლიმატური პირობები | ნიმუშის ალების სიღრმე,მ | ბეტონის მარკა წყალშეუღწევადობის მიხედვით | აგრესიულობის ხარისხი ბეტონებისთვის | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სულფატები | | | ქლორიდები პორტლანდცემენტისათვის მლაკოპორტლანდცემენტისთვის ის ГОСТ 10178–76 და სულფატმდგრადი ცემენტისათვის ГОСТ 22266–76 |
| | | | | | პორტლანდ ცემენტი ГОСТ 10178–76 | პორტლანდ ცემენტი ГОСТ 10178–76 და შლაკოპორტლანდცემენტი | სულფატ-მდგრადი ცემენტი ГОСТ 22266–76 | |
| 1 | ჭაბურღილი 1 | ნორმალური ბუნებრივი კლიმატის ზონა | 5.5 | W4<br>W6<br>W8 | ძლიერი<br>ძლიერი<br>ძლიერი | ძლიერი<br>ძლიერი<br>ძლიერი | ძლიერი<br>ძლიერი<br>საშუალო | საშუალო |

შპს „წყალი და გრუნტი“
ს/კ 436046574
ტელ.: +995 77 75 48 92
E-mail: infowaterandsoil@gmail.com




LLC “Water and Soil”
I/C 436046574
Phone.: + 995 77 75 48 92;
E-mail:infowaterandsoil@gmail.com

## გრუნტიდან გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგი

საანალიზოდ გადმოცემული გრუნტის ნიმუშიდან მომზადდა გამონატუტი, რომელთა საერთო მინერალიზაციის სიდიდე 1.6 გ/ლ-ის ტოლია, რომელიც ძალზე მომატებული სიდიდეა. ქიმიური შედგენილობით სულფატურ კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიანია. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია - 7.57.

აგრესიულობის ხარისხთან მიმართებაში, საანალიზო ნიმუში სულფატების შემცველობის მხრივ „ძლიერ“ აგრესიულობას ავლენს თითქმის ყველა სახის ცემენტზე, როგორიცაა პორტლანდცემენტი, შლაკოპორტლანდცემენტი $W_4$, $W_6$ და $W_8$ მარკის (წყალშეღწევადობის მიხედვით) ბეტონების მიმართ. ხოლო ქლორიდების შემცველობის თვალსაზრისით ვლინდება „საშუალო“ აგრესიულობა.

შპს „წყალი და გრუნტის“ დირექტორი მ. მარდაშოვა

ანალიტიკოსი თ. მიქავა

შპს "წყალი და გრუნტი" 436046574 "WATER AND SOIL" LLC

| გრუნტების ლაბორატორია | **გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები** | 01.10.2022 წ. |
|---|---|---|

| ობიექტის დასახელება: | ქ. თბილისი დ. დიღომი ს.კ 01.10.07.007.104 | | |
|---|---|---|---|
| ჭ. №2 | აღების სიღრმე h = 2.5 მ | ნიმუშის სახე: მონოლითი | ლაბ. №153 |

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივისა და ტენიანობის ნიმუშზე




გრაფიკი № 1

| გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები | | | | საწ. | საბ. |
|---|---|---|---|---|---|
| ბუნებრივი ტენიანობა | | W | % | 17.5 | 18.2 |
| სიმკვრივე | გრუნტის | ρ | გ/სმ³ | 1.97 | 2.09 |
| | მშრალი გრუნტის | $\rho_d$ | | 1.68 | 1.77 |
| | გრუნტის ნაწილაკ. | $\rho_s$ | | 2.70 | |
| ფორიანობა | | n | % | 37.9 | 34.4 |
| ფორიანობის კოეფიციენტი | | e | - | 0.610 | 0.525 |
| ტენიანობის ხარისხი | | Sr | - | 0.77 | 0.94 |
| პლასტიკურობა | დენადობის ზღვარი | $W_L$ | - | 0.29 | |
| | პლასტიკურ. ზღვარი | $W_p$ | | 0.14 | |
| | რიცხვი | $I_p$ | | 0.15 | |
| დენადობის მაჩვენებელი | | $I_L$ | - | 0.23 | 0.28 |

| გრუნტის დასახელება | | |
|---|---|---|
| *Ip* | 15 | თიხნარი |

ჯდომადობა

| ჯდომის საწყისი წნევა | | $P_{sl}$ | მპა |
|---|---|---|---|
| დამოკიდებულება $\varepsilon_{sl}=f(P)$ | | | |
| p | მპა | 0.2 | |
| $\varepsilon_{sl}$ | - | 0 | |

| ვერტიკალური დატვირთვა | | P | მპა | 0 | 0.05 | 0.1 | 0.15 | 0.2 | 0.2 | 0.25 | 0.3 | 0.35 | 0.4 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფორიანობის კოეფიციენტი | | *e* | - | 0.610 | 0.586 | 0.571 | 0.560 | 0.550 | 0.550 | 0.544 | 0.539 | 0.534 | 0.530 |
| ჯდენის მოდული | | $\varepsilon_p$ | მმ/მ | 0 | 15 | 24 | 31 | 37 | 37 | 41 | 44 | 47 | 50 |
| კუმშვადობის კოეფიციენტი | | $m_0$ | მპა$^{-1}$ | | 0.048 | 0.029 | 0.023 | 0.019 | - | 0.013 | 0.010 | 0.010 | 0.010 |
| დეფორმაციის მოდული | კომპ | $E_k$ | მპა | | 1.7 | 2.8 | 3.6 | 4.2 | - | 6.2 | 8.3 | 8.3 | 8.3 |
| | თავის | E | მპა | | 8.3 | 13.9 | 17.9 | 20.8 | - | 31.3 | 41.7 | 41.7 | 41.7 |

| გრუნტების ლაბორატორია | **გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები** | 01.10.2022 წ |
|---|---|---|
| ობიექტის დასახელება: | ქ. თბილისი დ. დიღომი ს.კ 01.10.07.007.104 | |

| ჭ. №4 | აღების სიღრმე h = 3.0 მ | ნიმუშის სახე: მონოლითი | ლაბ. №155 |
|---|---|---|---|

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივისა და ტენიანობის ნიმუშზე




გრაფიკი № 2

| გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები | | | | საწ. | საბ. |
|---|---|---|---|---|---|
| ბუნებრივი ტენიანობა | | W | % | 19.8 | 20.3 |
| სიმკვრივე | გრუნტის | ρ | გ/სმ³ | 1.92 | 2.02 |
| | მშრალი გრუნტის | $\rho_d$ | | 1.60 | 1.68 |
| | გრუნტის ნაწილაკ. | $\rho_s$ | | 2.70 | |
| ფორიანობა | | n | % | 40.6 | 37.8 |
| ფორიანობის კოეფიციენტი | | e | - | 0.685 | 0.607 |
| ტენიანობის ხარისხი | | Sr | - | 0.78 | 0.90 |
| პლასტიკურობა | დენადობის ზღვარი | $W_L$ | - | 0.33 | |
| | პლასტიკურ. ზღვარი | $W_p$ | | 0.16 | |
| | რიცხვი | $I_p$ | | 0.17 | |
| დენადობის მაჩვენებელი | | $I_L$ | - | 0.22 | 0.25 |

| გრუნტის დასახელება | | |
|---|---|---|
| *Ip* | 17 | თიხნარი |

ჯდომადობა

| ჯდომის საწყისი წნევა | | $P_{sl}$ | მპა |
|---|---|---|---|
| დამოკიდებულება $\varepsilon_{sl}=f$ (P) | | | |
| p | მპა | 0.2 | |
| $\varepsilon_{sl}$ | - | 0 | |

| ვერტიკალური დატვირთვა | | P | მპა | 0 | 0.05 | 0.1 | 0.15 | 0.2 | 0.2 | 0.25 | 0.3 | 0.35 | 0.4 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფორიანობის კოეფიციენტი | | *e* | - | 0.685 | 0.658 | 0.643 | 0.633 | 0.624 | 0.624 | 0.618 | 0.613 | 0.607 | 0.604 |
| ჯდენის მოდული | | $s_p$ | მმ/მ | 0 | 16 | 25 | 31 | 36 | 36 | 40 | 43 | 46 | 48 |
| კუმშვადობის კოეფიციენტი | | $m_0$ | მპა$^{-1}$ | | 0.054 | 0.030 | 0.020 | 0.017 | - | 0.013 | 0.010 | 0.010 | 0.007 |
| დეფორმაციის მოდული | კომპ | $E_k$ | მპა | | 1.6 | 2.8 | 4.2 | 5.0 | - | 6.3 | 8.3 | 8.3 | 12.5 |
| | თავის | E | მპა | | 7.0 | 12.8 | 19.6 | 24.0 | - | 30.0 | 40.8 | 40.8 | 62.5 |

| გრუნტების ლაბორატორია | **გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები** | 01.10.2022 წ |
|---|---|---|
| ობიექტის დასახელება: | ქ. თბილისი დ. დიღომი ს.კ 01.10.07.007.104 | |

| ჭ. №6 | აღების სიღრმე h = 3.7 მ | ნიმუშის სახე: მონოლითი | ლაბ. №157 |
|---|---|---|---|

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივისა და ტენიანობის ნიმუშზე

გრაფიკი № 3




| გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები | | | | საწ. | საბ. |
|---|---|---|---|---|---|
| ბუნებრივი ტენიანობა | | W | % | 18.0 | 19.5 |
| სიმკვრივე | გრუნტის | ρ | გ/სმ³ | 1.91 | 2.02 |
| | მშრალი გრუნტის | $\rho_d$ | | 1.62 | 1.69 |
| | გრუნტის ნაწილაკ. | $\rho_s$ | | 2.70 | |
| ფორიანობა | | n | % | 40.1 | 37.4 |
| ფორიანობის კოეფიციენტი | | e | - | 0.668 | 0.598 |
| ტენიანობის ხარისხი | | Sr | - | 0.73 | 0.88 |
| პლასტიკურობა | დენადობის ზღვარი | $W_L$ | - | 0.30 | |
| | პლასტიკურ. ზღვარი | $W_p$ | | 0.16 | |
| | რიცხვი | $I_p$ | | 0.14 | |
| დენადობის მაჩვენებელი | | $I_L$ | - | 0.14 | 0.25 |

| გრუნტის დასახელება | | |
|---|---|---|
| *Ip* | 14 | თიხნარი |

ჯდომადობა

